



კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- * კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- * კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: XX %
- * კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: XX.XX %

ფინანსური ხარჯები

- * ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი): თანდართული გრაფიკის შესაბამისად
- * ვადის ბოლოს შენატანი: X,XXX.XX ლარი
- * კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო: XXX.XX ლარი
- * იპოთეკის რეგისტრაცია: XX.XX ლარი
- * იპოთეკის მოხსნა: XX.XX ლარი
- * გირავნობის რეგისტრაცია: XX.XX ლარი
- * საბანკო ანგარიშის გახსნა: XX.XX ლარი
- * ქონების გაფორმება: XX.XX ლარი
- * ბანკიდან თანხის გამოტანის საკომისიო XXX.XX ლარი

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- * კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: XX,XXX.XX ლარი
- * მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: XX,XXX.XX ლარი
- * კრედიტის ვადა: XXXX დღე
- * საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: XX.XX.XXXX წელი

* საკომისიო ვადაზე ადრე კრედიტის სრულად დაფარვისათვის შეადგენს: გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა; 1%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე; 0.5%-ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე; 0%-ს, თუ დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები.

* ვადაგადაცილების ჯარიმა: ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის x % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. ჯარიმის დარიცხვა შეწყდება კრედიტის დაფარვის ბოლო თარიღიდან (იგულისხმება რესტრუქტურული/გადავადებული კრედიტის დაფარვის ბოლო თარიღი) XX-ე დღეს.

* ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცალმხრივად ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, კლიენტის ქმედების გამო ცვლილებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში წერილობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სატელეფონო შეტყობინებით, .

* მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია მისომი ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

* შენიშვნა: ზემოაღნიშნული გათვლები შესრულებულია იმ დაშვებით რომ კრედიტის თანხა გაიცემა ერთიანად.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406



საკრედიტო ხელშეკრულება # XXXXX-XXXX

XX.XX.XXXX წ.

ერთი მხრივ, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინაგრო" (ს/ნ 218077113, შემდგომში "მისო")(საზედამხედველო ორგანო: "საქართველოს ეროვნული ბანკი"; მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2), და მეორე მხრივ, XXXXXXXXXXXX, (შემდგომში "კლიენტი"/"მსესხებელი"), მხარეთა შორის დადებული ჩარჩო ხელშეკრულების # XXXXXXXXXXX (შემდგომში "ძირითადი ხელშეკრულების", დადების თარიღი: XX.XX.XXXX წელი) საფუძველზე ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და მისოს წესდებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანია ძირითადი ხელშეკრულების ლიმიტის ფარგლებში მისოს მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით და მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

1.2 კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.

2. სესხის ძირითადი პირობები

2.1 ძირითადი ხელშეკრულების ნომერი: XXXXXXXXXXX.

2.2 ძირითადი ხელშეკრულების დადების თარიღი: XX.XX.XXXX წელი.

2.3 კრედიტის უზრუნველყოფა: # XXXXXXXXXXX ძირითადი ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული უზრუნველყოფის ხელშეკრულებები.

2.4 კრედიტის თანხა: XX,XXX.XX ლარი.

2.5 კრედიტის ტიპი: სამეწარმეო.

2.6 კრედიტის დაფარვის ბოლო ვადა: XX.XX.XXXX წელი.

2.7 კრედიტის ვადა: XXXX დღე.

2.8 საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა: XX.XX.XXXX წელი.

2.9 მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: XX,XXX.XX ლარი.

2.10 კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: XX% კლებადი.

2.11 კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული.

2.12 დარიცხვის წესი: საპროცენტო სარგებელი, კრედიტის გაცემის მომდევნო კალენდარული დღიდან ყოველდღიური დარიცხვის მეთოდით ერიცხება კლიენტის ფაქტობრივ ძირითადი თანხის დავალიანებას მისოს მიმართ და იანგარიშება კრედიტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად. წლიური ბაზისი დარიცხვის მიზნებისათვის შეადგენს 365 დღეს.

2.13 კრედიტის მიზნობრიობა: განაცხადში მითითებული მიზნობრიობა.

2.14 კრედიტის ათვისების ტიპი: ერთჯერადი ათვისება (სტანდარტ.) - სესხი გაცემა ერთ ტრანშად XX.XX.XXXX წელს.

2.15 კრედიტის დაფარვის გრაფიკი: ამ ხელშეკრულებას თანდართული კრედიტის დაფარვის გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.16 ვადაგადაცილების ჯარიმა: ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის X% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. ჯარიმის დარიცხვა შეწყდება კრედიტის დაფარვის ბოლო თარიღიდან (იგულისხმება რესტრუქტურული/გადავადებული კრედიტის დაფარვის ბოლო თარიღი) XX-ე დღეს.

2.17 საკომისიო ვადაზე ადრე კრედიტის სრულად დაფარვისათვის შეადგენს: გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ კრედიტის დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა; 1%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე; 0.5%-ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე; 0%-ს, თუ დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები ვადა ან კრედიტის რეფინანსირება ხდება მისოს მიერ გაცეული ახალი კრედიტით; (ნარჩენ ძირითად თანხაში იგულისხმება კრედიტის ადრე დაფარვის დღეს ფაქტობრივად დარჩენილი და გრაფიკით წინმსწრები ძირითადი თანხის ნაშთი). საშეღავათო პერიოდის არსებობა/არარსებობის

მიუხედავად, სესხის ვადაზე ადრე სრულად დაფარვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია სრულად გადაიხადოს წინსწრების თარიღის ჩათვლით კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა გადასახდელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მიმდინარე საპროცენტო სარგებლის თანხისა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა მიმდინარე გადასახდელებისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსხვავებული, კლიენტის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა მისოს მიერ ავტომატურად მიიმართება კრედიტის წინსწრებით დასაფარავად.

2.18 კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო: xxx.xx ლარი. აღნიშნული საკომისიოს დაკავება მისოს მიერ ხდება კრედიტის პირველივე ტრანშის გაცემისას.

2.19 სხვა ფინანსური ხარჯები:

* იპოთეკის რეგისტრაცია: xx.xx ლარი

* იპოთეკის მოხსნა: xx.xx ლარი

* გირავნობის რეგისტრაცია: xx.xx ლარი

* საბანკო ანგარიშის გახსნა: xx.xx ლარი

* ქონების გაფორმება: xx.xx ლარი

* ბანკიდან თანხის გამოტანის საკომისიო xxx.xx ლარი

2.20 კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: xx.xx %, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაანგარიშებულია იმ დაშვებით რომ კრედიტის თანხა გაიცემა ერთიანად.

2.21 კრედიტის მთლიანი თანხიდან მსესხებელზე გასაცემი თანხა: xx,xxx.xx ლარი.

2.22 კრედიტის მთლიანი თანხიდან ყველა ფინანსური ხარჯის გამოკლებით დარჩენილი თანხა: xx,xxx.xx ლარი.

3. სხვა პირობები

3.1 კლიენტის მიერ მისოს მიმართ ვალდებულებ(ებ)ის შესრულება (დავალიანების დაფარვა), როგორც წესი, ხორციელდება მისოს ფილიალების სალაროებში ან მისოს კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით. თუ კლიენტის მიერ მისოსში გრაფიკით განსაზღვრული თანხის შეტანის დღე დაემთხვა მისოს არასამუშაო დღეს, მისომ მომხმარებლისგან შენატანი უნდა მიიღოს მომდევნო სამუშაო დღეს ყოველგვარი დამატებითი ვადაგადაცილების საკომისიოსა თუ პირგასამტეხლოს დარიცხვის გარეშე.

3.2 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

3.3 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში დასახელებული ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით.

3.4 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს კლიენტის განცხადებას საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ, რომლის ხელმოწერითაც კლიენტი ადასტურებს, რომ:

3.4.1 დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების და მისოს ვებგვერდზე www.finagro.ge განთავსებული ჩარჩო ხელშეკრულების პირობებს (ხელშეკრულებებში შეტანილ ყველა ცვლილებას და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებებს;

3.4.2 თანახმაა მისომ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, მისოსთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები;

3.4.3 ამ ხელშეკრულებას დებს თავისი საჭიროებისთვის, არ იმოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით და არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკი“).

3.5 მისო ვალდებულია, კლიენტს, თავდებს/სოლიდარულ თავდებს, ასევე უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს:

3.5.1 ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცალმხრივი ცვლილების შემთხვევაში, გარდა კლიენტის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების ან/და საკრედიტო პროდუქტის რომელიმე პირობის დარღვევის გამო ცვლილებისა/ფასის ზრდისა, აცნობოს ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე;

3.5.2 სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, გარდა კლიენტის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების ან/და საკრედიტო პროდუქტის რომელიმე პირობის დარღვევის გამო ცვლილებისა/ფასის ზრდისა, აცნობოს ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე;

3.5.3 კლიენტის მიერ რომელიმე ვალდებულების ან/და საკრედიტო პროდუქტის რომელიმე პირობის დარღვევის გამო ცვლილებისა/ფასის ზრდის (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) შემთხვევაში, აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

3.5.4 კლიენტის მიერ კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის, ასევე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/დროებით შეჩერების (მაგალითად, საკრედიტო ლიმიტის შეჩერება) შემთხვევაში, შეატყობინოს ზემოაღნიშნული გარემოების დადგომისას დაუყოვნებლივ, მისოს ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

3.5.5 ამ ხელშეკრულებით გაცემული სესხის მესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში, აცნობოს სათანადო ფორმით, ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

3.5.6 თავდებს/სოლიდარულ თავდებს, ასევე უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს მიაწოდოს კლიენტთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართის ასლი, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში: ხელშეკრულების ასლი იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან ან/და დეტალური ინფორმაცია კრედიტის დაფარვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3.6 მხარეები ვთანხმდებიან, რომ მსესხებელთან **3.5.1 - 3.5.5** ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეტყობინებები განხორციელდება, რომელიმე ან/და რამდენიმე ან/და ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი საკომუნიკაციო არხით: წერილობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სატელეფონო ზარით, .

3.7 თუ სესხით სარგებლობისათვის გათვალისწინებული სარგებელი და/ან ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი პირობები შეიცვლება კლიენტის სასარგებლოდ, ამ შემთხვევაში მისი იტოვებს უფლებას არ მოახდინოს კლიენტისათვის შეტყობინების გაგზავნა.

3.8 მისოს უფლება აქვს შეტყობინებებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა.), ყველანაირი შეტყობინება განხორციელდება მისოსთვის ცნობილ კლიენტის ბოლო მისამართებზე.

3.9 მისო არ აგებს პასუხს შეტყობინებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულების/მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის, თუ კლიენტ(ებ)თან დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება კლიენტ(ებ)ის ბრალეულობით და/ან კლიენტ(ებ)მა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია მისოსთვის.

3.10 იმ შემთხვევაში, თუ: ა) კლიენტის სასარგებლოდ გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; ბ) მისოს საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული კრედიტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს მისოსთვის ან/და საფრთხე შეუქმნას მისოს ფინანსურ სტაბილურობას; გ) ადგილი ექნება სხვა პროცესებს, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ საკრედიტო განაკვეთების ცვლილება; დ) კრედიტით სარგებლობისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება; ე) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს მისოს მდგომარეობას, მისო უფლებამოსილი იქნება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) საპროცენტო განაკვეთი. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მისოს უფლებამოსილება ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი. მისოს ამ პუნქტში აღწერილი უფლებამოსილება ძალაში შევა მხოლოდ, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 5%-ზე მეტით ცვლილების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებას, იგი ვალდებული იქნება მისოს შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) თვის ვადაში სრულად დაფაროს მისოს მიერ მისთვის მიცემული ყველა კრედიტი/საკრედიტო პროდუქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

3.11 მისოს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ მიზნით, საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე (თუ კანონმდებლობით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული) და/ან კლიენტის ანგარიშების დაყადაღებით/კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ის ცალმხრივად განკარგვით, თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით და/ან მათი დანართებით გათვალისწინებულ ნებისმიერ პირობას/ნაკისრ ვალდებულებას და/ან დადგება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი და/ან რომელიმე პირობა.

3.12 კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ფორმით მისოს ფილიალებში. პრეტენზიის წარდგენა აგრეთვე შესაძლებელია ელექტრონული ფორმის მეშვეობით მისამართზე info@finagro.ge. სათანადო ფორმით შედგენილი პრეტენზიის განხილვა და პასუხის გაცემა მოხდება მისი წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეგნობება იმავე ფორმით რა ფორმითაც წარდგენილ იქნება პრეტენზია ან/და წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა).

3.13 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით მისოს ნებისმიერ ფილიალს / სერვისცენტრს და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). ხოლო, თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, მისო მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, მისო იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).

3.14 კლიენტის საკრედიტო ვალდებულება მისოს მიმართ უქმდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში ან მისოს უფლებამოსილი პირის მხრიდან წერილობით შედგენილი ვალის პატიების გზით. ცნობა საკრედიტო დავალიანების მდგომარეობის შესახებ არ ჩაითვლება ვალის პატიებად.

3.15 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა და უთანხმოება, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება და გადაწყდება, მხარეთა შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების პირობების თანახმად და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.16 მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მისოს, მისი ფილიალებისა და სერვისცენტრების მისამართები.

3.17 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

3.18 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, საიდანაც 1 (ერთი) გადაეცემა კლიენტს 1 (ერთი) რჩება მისოს.

* იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მისო „ფინაგრო“-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინაგრო" არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით

მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა

ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

4. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

4.1 მისო:

4.2 კლიენტი/მსესხებელი

კლიენტის/მსესხებელის ხელმოწერა
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)